

საბანკო საქმის საფუძვლები

I, II კურსი(ბიზნეს-ინჟინერინგი)

I, II სემესტრი, 2017-2018 წელი -გიორგი ცაავა (დასკვნითი გამოცდის ნიმუში)

კითხვა 1

რომელ ზარაფხანაში მოიჭრა ბაგრატ III –ის მონეტა?

აირჩიეთ ერთი:

- a. თბილისის ზარაფხანაში;
- b. ყარაღაჯის ზარაფხანაში;
- c. არცერთი პასუხი სწორი არ არის.
- d. გრემის ზარაფხანაში;

კითხვა 2

ინფლაციის თარგეთირების რეჟიმის დროს:

აირჩიეთ ერთი:

- a. წინასწარ არ განისაზღვრება ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებელი, რომელიც უნდა იქნას შენარჩუნებული გრძელვადიან პერიოდში;
- b. ხორციელდება ფულის მასის სასურველი ზრდის ტემპის მიღწევა;
- c. წინასწარ ცხადდება ინფლაციის სამიზნე მაჩვენებელი საშუალოვადიანი პერიოდისათვის;
- d. ფულის მასა არც მცირდება და არც იზრდება არც გრძელვადიან და არც მოკლევადიან პერიოდში.

კითხვა 3

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა ერთკვირიანი რეფინანსირების სესხები დანერგა:

აირჩიეთ ერთი:

- a. 2008 წლის სექტემბრიდან;
- b. 2007 წლის იანვრიდან;
- c. 2009 წლის მაისიდან;
- d. 2010 წლის დეკემბრიდან.

კითხვა 4

2005 წლის 31 დეკემბრისათვის საქართველოში ლიცენზირებული კომერციული ბანკებისა და უცხოური ბანკების ფილიალების საზედამხედველო კაპიტალის მინიმალური ოდენობა უნდა ყოფილიყო არანაკლებ:

აირჩიეთ ერთი:

- a. 5,5 მლნ ლარი;
- b. 7,8 მლნ ლარი.
- c. 6,4 მლნ ლარი;

d. 9,2 მლნ ლარი;

კითხვა 5

ფულადი მულტიპლიკატორი ტოლია:

აირჩიეთ ერთი:

- a. $1 / (d+c)$;
- b. $(1+c) / (d+c)$;
- c. $1 - (d+e) / (d+e+c)$;
- d. $(1-d) / (d+c)$.

კითხვა 6

ოპერაციების განხორციელების ვადების შეთანხმება და გადახდის არათავისდროულად გადახდაზე კონტრაგენტების თანაბარ პასუხისმგებლობას წარმოადგენს:

აირჩიეთ ერთი:

- a. ფულადი რესურსების სხვა ბაზრების მოკლევადიან ფინანსურ აქტივებზე გაცვლა;
- b. მოგების მიღება არატრადიციული ბანკთაშორისი ოპერაციების ჩატარების ხარჯზე;
- c. ბანკის დადებითი იმიჯის შექმნა და მხარდაჭერა.
- d. რესურსების მოზიდვა ბანკის მოკლევადიანი და საშუალოვადიანი პროექტების რეალიზაციისათვის;

კითხვა 7

წლიური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი მიუთითებს კრედიტზე ერთობლივი გადახდის შეფარდებას კრედიტის მოცულობასთან, ანუ თავისთავად:

აირჩიეთ ერთი:

- a. იგი ფიქსირებულ საპროცენტო განაკვეთს წარმოადგენს.
- b. იგი მცურავ საპროცენტო განაკვეთს წარმოადგენს;
- c. იგი შემოსავლიანობის განაკვეთს წარმოადგენს;
- d. იგი არაშემოსავლიანობის განაკვეთს წარმოადგენს;

კითხვა 8

უცხოურ ვალუტასთან დაკავშირებულ საბანკო ოპერაციებს არ მიეკუთვნება:

აირჩიეთ ერთი:

- a. საქართველოს რწმუნებულებთან და უცხოეთის ბანკებთან საკორესპონდენტო ურთიერთობების გამყარება.
- b. სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ საგადასახადო ვალდებულებების შესრულება;
- c. ქვეყნის შიგნით სავალუტო სახსრების მოზიდვა-განთავსება;
- d. კლიენტურის სავალუტო ანგარიშების მომსახურება;

კითხვა 9

ფიზიკური პირისათვის დასაშვებია ინტერნეტბანკის საშუალებით ანგარიშის გახსნა, თუ:

აირჩიეთ ერთი:

- a. აღნიშნულ პირს გახსნილი აქვს ანგარიში სხვა ბანკში;

- b. აღნიშნულ პირს არ აქვს გახსნილი ანგარიში ამავე ბანკში;
- c. აღნიშნულ პირს გახსნილი აქვს ანგარიში ამავე ბანკში;
- d. არცერთი პასუხი სწორი არ არის.

კითხვა 10

საბიუჯეტო ორგანიზაციას და/ან საჯარო სამართლის იურიდიულ პირს ბანკში ანგარიშის გასახსნელად არ სჭირდება:

აირჩიეთ ერთი:

- a. განაცხადი ანგარიშის გახსნაზე;
- b. ამხანაგობის ხელშეკრულება ან სანოტარო წესით დამოწმებული წესდება;
- c. საგადასახადო რეგისტრაციის მოწმობა;
- d. დაწესებულების უფლებამოსილი პირის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი და ხელმოწერის ნიმუში;

კითხვა 11

ჩამოთვლილთაგან რომელია ლიზინგის უპირატესობა მეიჯარეებისათვის?:

აირჩიეთ ერთი:

- a. ლიზინგის გამცემს აქვს შესაძლებლობა მოიძიოს დამატებითი ფინანსური რესურსები საქმიანობის გაგრძელებისათვის და გაფართოებისათვის ლიზინგური ქონების დაგირავებით;
- b. ლიზინგის დროს, აქტივების შეძენისა და დაფინანსების საკითხი ერთდროულად წყდება;
- c. ლიზინგი ფინანსურ რესურსებს მიმართავს უშუალოდ მატერიალური აქტივების შეძენაზე იხსნის რა საკრედიტო საშუალებების არამიზნობრივი გამოყენების პრობლემას;
- d. საწარმოო დანადგარებში ჩადებული ინვესტიციები ლიზინგის საშუალებით, იძლევიან შემოსავლის გენერირების გარანტიას.

კითხვა 12

ტრადიციული გირავნობის საბუთის ნაკლოვანება არის:

აირჩიეთ ერთი:

- a. ყველა პასუხი მცდარია.
- b. ძირითადი თანხისა და საპროცენტო განაკვეთის ყოველთვიური გადასახადები არ იზრდება;
- c. იმისათვის, რომ შემცირებული საპროცენტო განაკვეთი იქნეს გამოყენებული, რეფინანსირების განხორციელება არ იქნება საჭირო;
- d. თუ საბაზრო საპროცენტო განაკვეთის სიდიდე შემცირდა, ტრადიციული გირავნობის საბუთზე საპროცენტო განაკვეთი არ შემცირდება;

კითხვა 13

თუ კომერციული ბანკის რისკის მიხედვით შეწონილი აქტივების მოცულობა შეადგენს 200 მლნ ლარს, სახედამხედველო კაპიტალი უნდა იყოს არანაკლებ:

აირჩიეთ ერთი:

- a. 28 მლნ ლარი;
- b. 18 მლნ ლარი.

- c. 24 მლნ ლარი;
- d. 36 მლნ ლარი;

კითხვა 14

თუ კომერციული ბანკის ბანკის სააქციო კაპიტალის მოცულობა შეადგენს 1,5 მლრდ ლარს, მაშინ მისი ძირითადი საშუალებების ნარჩენი ღირებულება იურიდიულ პირთა კაპიტალში ბანკის ინვესტიციების საერთო თანხასთან ერთად არ უნდა აღემატებოდეს:

აირჩიეთ ერთი:

- a. 1,15 მლრდ ლარს;
- b. 900 მლნ ლარს;
- c. 1,05 მლრდ ლარს;
- d. 950 მლნ ლარს.

კითხვა 15

მიმწოდებელი ანგარიშთა რეესტრს წარუდგენს ბანკს სამ ცალად, რომელთაგან მეორე:

აირჩიეთ ერთი:

- a. არცერთი პასუხი სწორი არ არის.
- b. სასაქონლო-სატრანსპორტო საბუთების თანდართვით და ბანკის აღნიშვნით, ეგზავნება ემიტენტ ბანკს გადამხდელისათვის გადასაცემად;
- c. მიეცემა მიმწოდებელს, როგორც ამ რეესტრის მიუღებლობის დასტური;
- d. გამოიყენება მემორიალური ორდერის სახით;

კითხვა 16

კომერციული ბანკები ვალდებული არ არიან:

აირჩიეთ ერთი:

- a. „უიმედოდ“ კლასიფიცირებული აქტივი ჩამოწერონ ბანკის აქტივების შესაძლო დანაკარგების რეზერვიდან;
- b. განახორციელონ აქტივების კლასიფიკაცია და შექმნან შესაძლო დანაკარგების ადეკვატური რეზერვები.
- c. აქტივების რისკის კლასიფიკაციის მიხედვით საჭირო რეზერვების შექმნა აწარმოონ სააღრიცხვო პერიოდში მიღებული შემოსავლების მიუხედავად;
- d. „არასტანდარტულად“ კლასიფიცირებული აქტივი ჩამოწერონ ბანკის აქტივებ